

---

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისში

2011 წლის 2 ნოემბერს გამართული  
საჯარო დისკუსია თემაზე:

„მაჰმადიანი მესხების რეპატრაციის საკითხები“

---

ძირითადი მომხსენებლები:

**ირაკლი კოკაია** – საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ  
პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა  
სამინისტროს ლტოლვილთა და რეპატრაციის  
სამმართველოს უფროსი

**ემილ ადელხანოვი** – ამნესტი ინტერნეიშენალის  
წევრი

**ჯანა სომერლუნდი** – უმცირესობის საკითხთა  
ევროპული ცენტრის საერთაშორისო პროექტის  
მენეჯერი

**გია თარხან-მოურავი** – საზოგადოებრივი  
პოლიტიკის ინსტიტუტის თანადირექტორი

---

მოდერატორი: მარინა ელბაქიძე

---

**მარინა ელბაქიძე** – საღამო მშვიდობისა, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში საუბრები ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალურ საკითხებზე გრძელდება. დარბაზში მსხდომთა რაოდენობა მეტყველებს ხოლმე იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის ესა თუ ის საკითხი. მართალია დღეს დარბაზი ბოლომდე არ შევსებულა, მაგრამ ვფიქრობ, საკითხი, რომელზეც დღეს ვისაუბრებთ, ღირებული და აქტუალურია. „**მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის საკითხები**“ – პირობითად ასე ვუწოდებთ დღევანდელ დისკუსიას, მაგრამ ამ საკითხს აქვს მრავალი მხარე. მათგან ნაწილი შეიძლება პრობლემური იყოს, ნაწილი კი წარმატებული. დისკუსიის დასასრულს შევძლებთ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, რამდენად წავიწიეთ წინ მესხების რეპატრიაციის საკითხის მოგვარებაში.

ამ დარბაზში ალბათ ძირითადად ის ადამიანები არიან შეკრებილები, ვინც კარგად იცის მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებული ისტორია. ამ თემაზე მე ბევრს აღარ ვისაუბრებ, ვფიქრობ უკეთესი იქნება, თუ სიტყვას ჩვენს მომხსენებლებს გადავცემ. მომხსენებლებად მოვიწვიეთ ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ ამ თემაზე.

რეპატრიაციის საკითხს სხვადასხვა მხარე აქვს: იურიდიული, საზოგადოებრივი, კულტურული, ინტეგრაციული და ა.შ. ჩვენი მომხსენებლები თავიანთ მოხსენებებში ალბათ ყველა ამ საკითხს შეეხებიან. ამის შემდეგ უკვე დამსწრე საზოგადოებასაც მიეცემა კითხვების დასმის საშუალება.

ჩვენი მომხსენებლები არიან: ბატონი ირაკლი კოკაია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ლტოლვილთა და რეპატრიაციის სამმართველოს უფროსი. ემილ ადელხანოვი გახლავთ ამნესტი ინტერნეიშენალის წევრი და ადამიანის უფლებებზე მუშაობს. ჯანა სომერლუნდი, უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის საერთაშორისო პროექტის მენეჯერი და ბატონი გია თარხან-მოურავი, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის თანადირექტორი. მომხსენებლების მოსმენის შემდეგ, როგორც უკვე მოგახსენეთ, გექნებათ საშუალება დასვათ კითხვები და გააკეთოთ კომენტარები.

ბატონ ირაკლი კოკაიას მოვეუსმინოთ.

**ირაკლი კოკაია** – ძალიან დიდი მადლობა ბიოლის ფონდს ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ისე საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც, იმიტომ რომ დაკავშირებულია საერთაშორისო ვალდებულებასთან. მადლობა ჩემი მოწვევისთვისაც, თავს არ შეგაწყენთ ხანგრძლივი საუბრით, მოკლედ მიმოვიხილავ კანონის მიღების დღიდან დღემდე არსებულ სიტუაციას.

როგორც მოგახსენებთ, 1999 წელს ავიღეთ ვალდებულება მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის შესახებ, ხოლო 2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „რეპატრიაციის შესახებ“. აპლიკაციების მიღების ვადა თავიდან განსაზღვრული იყო 2009 წლამდე, მაგრამ მან ორჯერ გადაიწია და 2010 წლის ბოლომდე განისაზღვრა. ამ დროიდან შეწყდა აპლიკაციების მიღება. მსურველს სამი წლის ვადა ჰქონდა მოსაფიქრებლად, გადაწყვეტილების მისაღებად და საბუთების შესაგროვებლად. მათ ამ ხნის განმავლობაში შეეძლოთ მიემართათ თხოვნით საქართველოს ხელისუფლებისთვის რეპატრიაციის სტატუსის

მინიჭების შესახებ. გარდა ამისა კანონში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება. მათ შეუმსუბუქდათ აპლიკაციის მიმართვის წესი. თავიდან კანონის მიხედვით მოითხოვებოდა ჯანმრთელობის ფორმაც. ცვლილების შემდეგ ეს ფორმა ადამიანს მოეთხოვება მას შემდეგ, რაც იგი მიიღებს რეპატრიანტის სტატუსს, საქართველოში ჩამოსვლამდე ერთი თვით ადრე.

აპლიკაციები დაყოფილი გვაქვს სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მივაკუთვნებთ უხარვეზო აპლიკაციებს და ასეთი 75 იყო. ყველა ასეთი აპლიკაციის წარმომდგენ პირს უკვე მიენიჭა სტატუსი. შვილებთან ერთად 105 ადამიანი გამოდის. მეორე კატეგორიაში არიან ისინი, ვისაც ყველა დოკუმენტი სრულად აქვს წარმოდგენილი, მაგრამ ვერ წარმოადგინეს გადასახლების დამადასტურებელი საბუთი. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს მდგომარეობა, ვიცით რომ მათი გადასახლებიდან ძალიან დიდი დროა გასული. შეიძლება არქივებიდან მოძიება, მაგრამ ბევრი უკვე აღარ ცნობრობს იქ, სადაც თავიდან გადასახლეს. ძალიან ცოტა ადამიანს თუ შეუნარჩუნდა ეს დოკუმენტი. საქართველოში შეიქმნა რეპატრიაციის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა სამინისტროების მინისტრების მოადგილეებით და სწორედ ეს საბჭო უწევს კოორდინაციას ამ პროცესს. საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა უხუცესთა საბჭო, რომელიც შედგება სამი მესხი უხუცესისაგან. მათ ეთხოვათ გადასახლების ფაქტების დადასტურება. მათ ვაძლევთ იმ პირების სიას, რომლებმაც ვერ წარმოადგინეს გადასახლების მოწმობა და ისინი თავინთი წყაროებით გვიდასტურებენ, გადასახლებულები არიან ისინი თუ არა. მათი თანხმობა მიიღება როგორც გადასახლების დამადასტურებელი დოკუმენტი და თუ რაიმე სხვა შემაფერხებელი ფაქტორი არ არსებობს, ამ პირებს რეპატრიანტის სტატუსი მიენიჭებათ. მესამე კატეგორიაში არიან ისინი, ვისაც აპლიკაციები ხარვეზებით აქვთ წარმოდგენილი, ან რომელიმე დოკუმენტი აკლიათ, ან ანკეტა აქვთ არასწორად შემოტანილი. ამ შემთხვევაში ისინი წლის ბოლომდე მიიღებენ შეტყობინებას და ოთხთვიანი ვადა მიეცემათ ხარვეზების გამოსასწორებლად და საბუთების ხელახლა შემოსატანად.

აი ეს არის ძალიან მოკლედ დღევანდელი სიტუაციის შესახებ. ალბათ დაისმება შეკითხვები.

**მამუკა ყუფარაძე, სტუდია „რე“** – თქვენ თქვით, რომ პირველ კატეგორიაში 75 კაცი იყო. მეორე და მესამე კატეგორიაში შეგიძლიათ გვითხრათ, რამდენი ადამიანი მოხვდა?

**ირაკლი კოკია** – სულ მოგვმართა 5841 პიროვნებამ. თუ მათ შვილებსაც ვიგულისხმებთ, სულ 9 ათასამდე კაცი გამოდის.

**მამუკა ყუფარაძე, სტუდია „რე“** – შეგიძლიათ გვითხრათ, მათგან რამდენმა ადამიანმა ვერ წარმოადგინა გადასახლების დამადასტურებელი დოკუმენტი?

**ირაკლი კოკია** – ზუსტი პასუხის გაცემა გამიჭირდება, დაახლოებით 2100-მდე იყო ისეთი, ვისაც ყველა დოკუმენტი წესრიგში ჰქონდა გარდა გადასახლების დამადასტურებელი დოკუმენტისა.

**მამუკა ყუფარაძე, სტუდია „რე“** – უხუცესთა საბჭო რა წყაროებს ეყრდნობა?

**ირაკლი კოკია** – მესხთა საზოგადოებაში ყველა ერთმანეთს იცნობს. ძალიან შეკრული საზოგადოებაა. ჩვენ ვაძლევთ მათ იმის საშუალებას, რომ თუ არ იცნობენ ამ ადამიანებს, სხვებს დაუკავშირდნენ და მათგან გაიგონ მათი კოორდინატები.

**მაშუკა ყუფარაძე, სტუდია „რე“** – მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს იცნობენ, 75 კაცზე მეტის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა?

**ირაკლი კოკია** – არა, თქვენ ვერ გამიგეთ. 75 ადამიანს უხარვეზოდ ჰქონდა წარმოდგენილი დოკუმენტი. მათ ასევე ჰქონდათ გადასახლების დამადასტურებელი დოკუმენტიც. მათი საქმე უკვე განიხილეს და ყველას მიენიჭა სტატუსი. 2100 ადამიანს ყველა დოკუმენტი წესრიგში აქვს და მხოლოდ გადასახლების დამადასტურებელ მოწმობას არ ფლობს. მხოლოდ ასეთი ადამიანების გადასახლების დადასტურებაში ვთხოვთ უხუცესებს დახმარებას. სიმართლე გითხრათ, ჩვენთვის მნიშვნელობა არც აქვს, ამას როგორ მოახერხებენ, მთავარია, დაგვიდასტურონ, რომ ამა თუ იმ პიროვნების წინაპარი მართლაც გადასახლებული იყო.

უხუცესთა საბჭო დიდი ხანია არ არის, რაც შეიქმნა. მათ უკვე გადავეცით სია და როგორც კი დაგვიდასტურებენ მზაობას, მაშინვე შევიკრიბებით. იმედი მაქვს, ამ სიიდან უმეტესობაზე დადებით პასუხს მივიღებთ.

**მარინა ელბაქიძე** – დიდი მადლობა ბატონო ირაკლი. დარბაზს ვთხოვ, ჯერ მომხსენებლებს მოვუსმინოთ და კითხვები შემდეგ დავსვათ. იმიტომ რომ ბევრ შეკითხვაზე, რომელიც ახლა გიჩნდებათ, შეიძლება მოისმინოთ პასუხი მომხსენებელთა გამოსვლებში.

ახლა ქალბატონ ჯანას მოვუსმინოთ.

**ჯანა სომერლუნდი** – ჩემი გამოსვლა მინდა პატარა განმარტებით დავიწყო. მიუხედავად იმისა, რომ აქ წერია „მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციის საკითხები“, მინდა მოგახსენოთ, რომ როგორც კანონს, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს რეპატრიაციის პროცესი, ასევე ჩვენს პროექტსაც, რომელიც ევროკავშირის მიერ ფინანსდება და ხორციელდება ორგანიზაციასთან „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ და „ალპეს“ ფონდთან ერთად, ჰქვია „1940-იან წლებში საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის და მათი პირდაპირი შთამომავლების რეპატრიაციის ხელშეწყობა“. ეს ჯგუფი მოიცავს არა მარტო მესხებს, ასევე ჰემშინებს, ყარაფაფახებს, ქურთებს, იმ უცირესობებს, რომლებიც 1944 წელს საქართველოდან იძულებით გადაასახლეს.

ჩვენს პროგრამას სამი ძირითადი კომპონენტი აქვს. პირველი კომპონენტი გულისხმობს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას რეპატრიაციის პროცესში. ამაში შედის ტექნიკური დახმარება და ექსპერტიზის გაწევა სხვადასხვა უმცირესობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გვაქვს განათლების კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს საჯარო ლექციებს და სემინარებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ასევე გვაქვს ყურადღების ამაღლების კომპონენტი, რომელზეც ჩვენთან ერთად მუშაობს „ალპეს“ ფონდი. ასევე დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე კულტურული ღონისძიება, ფესტივალი თუ გამოფენა. მაგრამ მთავარი ჩვენს საქმიანობაში მაინც არის კვლევა. ერთ-ერთი მთავარი პუბლიკაცია უკვე გამოიცა. ეს არის წიგნი „მესხები: გზა შინისაკენ“. თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ამ წიგნს. აქ კარგად არის აღწერილი დეპორტაციის ისტორია, სხვადასხვა უმცირესობების კულტურა, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მესხებზე, იმიტომ რომ ყველანი, ვინც კი შემოიტანა განაცხადი რეპატრიაციაზე, იყვნენ მესხები ან მათი წარმომადგენლები. გმადლობთ ყურადღებისთვის. სიამოვნებით ვუპასუხებ თქვენს შეკითხვებს.

**მარინა ელბაქიძე** – დიდი მადლობა ქალბატონო ჯანა. ახლა ბატონ ემილს მოვუსმინოთ. ბატონი ემილი ადამიანის უფლებებზე მუშაობს და დღეს მესხების უფლებებზე ისაუბრებს. ალბათ არა მარტო იმაზე ვისაუბრებთ, როგორ მიმდინარეობს რეპატრაციის პროცესი, არამედ იმაზეც, თუ როგორ ცხოვრობენ უკვე ჩამოსული მესხები საქართველოში. მით უმეტეს, რომ დარბაზში ვხედავ მესხების თემის წარმომადგენლებს.

**ემილ ადელხანოვი** – ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ რუსულად უნდა ვისაუბრო. მსურდა ადამიანის უფლებებზე და „რეპატრაციის შესახებ“ კანონის ნაკლოვანებებზე მესაუბრა. ეს კანონი, სულ ცოტა, ექვს საკამათო პუნქტს შეიცავს. კანონი „გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭების შესახებ“ ასევე შეიცავს საკამათო პუნქტებს. მაგრამ ახლა, როდესაც ისინი უკვე მიღებულია, შესაძლოა აღარც ჰქონდეს აზრი მათ კრიტიკას, უკეთესი იქნება აუდიტორიის ყურადღება უფრო აქტუალური საკითხებისკენ მივმართოთ.

**მარინა ელბაქიძე** – იქნებ მაინც მიგეთითებინათ, რომელ პუნქტებს მიიჩნევთ საკამათოდ.

**ემილ ადელხანოვი** – ეს პირველ რიგში ეხება წარმოსადგენი საბუთების რაოდენობას, ბიომეტრიულ ფოტოსურათს. წარმოიდგინეთ იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც რაიონული ცენტრიდან ასი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს. პრობლემებს ქმნის ენის ფაქტორიც. საბუთები ქართულ ან ინგლისურ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი. როგორც წესი, მათ არც ერთი იციან და არც მეორე. მიეთითებათ, თუ რა ვადაში უნდა წარმოადგინონ საბუთები, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათი განხილვის ვადაზე, ამიტომ არ იციან, როდის ეტყვიან პასუხს. იქ არის კიდევ ასეთი პუნქტი, საჭიროების შემთხვევაში კომისიას შეუძლია დამატებითი ცნობების მოთხოვნა. ამაში რა იგულისხმება, განმარტებული არ არის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომისიის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრება შეუძლებელია.

რაც შეეხება კანონს „გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭების შესახებ“, ნახსენებია გადაწყვეტილების „გონივრულ ვადაში“ მიღება. რა იგულისხმება ამ სიტყვებში, რამდენიმე დღე, რამდენიმე კვირა, თვე თუ წელი?

მაგრამ კანონები უკვე მიღებულია და უკვე დაწყებულია განაცხადების მიღებაც. ამიტომ ახლა სხვა პრობლემებზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონი „რეპატრაციის შესახებ“, ბევრი თვითღინებით არჩევს საქართველოში დაბრუნებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ან არ იციან, რა წერია ამ კანონში, ან ის რაც წერია, მათთვის მიუღებელია. თვითღინებით დაბრუნებას კი სხვადასხვა კოლიზია მოჰყვება. ორ წელზე მეტია, საზღვარზე აკავებენ ადამიანებს, და ხშირად ისე, რომ არც უხსნიან მიზეზს, უკან აბრუნებენ. არის სხვა პრობლემაც, დაბრუნებულმა პირებმა ყოველ სამ თვეში ერთხელ უნდა განაახლონ ქვეყანაში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა. იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც 70 წლის მოხუცი საბუთის გადაუვადებლად წავიდა აზერბაიჯანში რაღაც საქმეების მოსაგვარებლად, მაგრამ უკან აღარ შემოუშვეს და ექვსი თუ შვიდი თვეა, ცდილობს დაბრუნებას.



არის უფრო მძიმე შემთხვევებიც. მაგალითად, ერთ ადამიანს საბარგო ავტომანქანით ბარგი გადმოჰქონდა. საზღვარზე გააჩერეს და უთხრეს, რომ ნარკოტიკები გადმოჰქონდა. სამი საათი მიმდინარეობდა ჩხრეკა. შემდეგ ბოდიში მოუხადეს და უთხრეს, რომ ნარკოტიკები ვერ აღმოაჩინეს და სადილზე დააპატიჟეს. იმ საწყალს კი ეგონა, რომ ეს ქრთამზე გადაკრული სიტყვები იყო. ამოიღო ფული და აძლევს ამ ხალხს. ეს საქციელი კი უკვე მართლაც გააფორმეს როგორც ქრთამის მიცემა, იქვე შეადგინეს უწყისი და უთხრეს, რომ თუ ხელს მოაწერდა, გაუშვებდნენ, თუ არ მოაწერდა, დაიჭერდნენ. მოაწერა ხელი და ხუთი წლით დააპატიმრეს. ქრთამის შეთავაზება იყო ერთადერთი, რაშიც ამ ადამიანს ბრალი ედებოდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ქმნის პირობებს საიმისოდ, რომ ჩამომსვლელთა რიცხვი რაც შეიძლება ნაკლები იყოს.

ეს მოტივაცია უდევს საფუძვლად ბარბაქადის ცნობილ საქმესაც. ბარბაქადე რეპატრიანტთა დახმარების ფონდის თავმჯდომარე იყო. ახალციხეში სამი სახლი იყიდა. ბრალად წაუყენეს ის, რომ დამალა გადახდილი თანხის რეალური ოდენობა. ასევე წაუყენა ბრალად ის, რომ თითქოს ვიღაც ქალისგან დაბალ ფასად შეისყიდა ბინა, სანაცვლოდ კი რუსეთში სამუშაოდ წასვლაში თუ რუსეთის მოქალაქეობის მიღებაში დახმარებას შეპირდა და არ შეუსრულა. საბოლოოდ 11 წელი შეუფარდეს. მანვე უნდა გადაიხადოს დაახლოებით 30 ათასი დოლარიც. ეს საქმეც, ჩემი აზრით, იმას ემსახურება, რომ ამ ადამიანებს ჩამოსვლის ხალისი დაეკარგოთ. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებას არ სურს მათი მიღება.

**მარინა ებრალიძე** – გმადლობთ ბატონო ემილ. ახლა ბატონ გიას მოვუსმინოთ.

**გია თარხან-მოურავი** – გმადლობთ. როგორც ჩანს, მართლაც არის სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები სურვილი, რომ რეალურად განხორციელდეს რეპატრიაცია. დასაწყისში ითქვა კიდევ, რომ ეს არის საქართველოს საერთაშორისო ვალდებულება. ჩვენ რეპატრიაციას როგორც ვალდებულებას, ისე ვუყურებთ და არა როგორც საქართველოს შინაგან საქმეს და მორალურ იმპერატივს. ყველაზე ღრმა პრობლემა სწორედ ის არის, რომ ეს სხვების მიერ თავსმოხვეულ პროცესად განიხილება.

მეორე საინტერესო მომენტი კანონის ნაკლოვანებებში. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ კანონპროექტი, რომელმაც შენევაში გაიარა ექსპერტიზა, უარყოფილ იქნა და მის ნაცვლად ერთ ღამეში დაწერილი სულ სხვა კანონპროექტი მიიღეს. მაგრამ ვეთანხმები ბატონ ემილს, დღეს ამაზე ლაპარაკს აზრი აღარ აქვს. მოდი იმაზე ვიფიქროთ, რომ თუ მისი გაუმჯობესება აღარ შეგვიძლია, მის შესრულებაზე და თავად რეპატრიაციის პროცესის მიმდინარეობაზე გავამახვილოთ ყურადღება.

მნიშვნელოვანია, დავინახოთ რამდენიმე პრობლემა. დღეს საუბარი იყო რეგისტრაციაზე, საბუთების მიღების პროცედურებზე, მაგრამ ეს არ არის მთავარი პრობლემა. საბუთები ასე თუ ისე მოგროვდება, მაგრამ სხვა პრობლემები რჩება. ერთი პრობლემა უკავშირდება ილუზიას, რომ თუ მაქსიმალურად შევუმღოთ ამ ადამიანებს ხელს ჩამოსვლაში, ან არ მივცემთ ქონების ჩამოტანის შესაძლებლობას, გავურთულებთ პროცედურებს, ამით საქართველოს პრობლემას გადავჭრით. ეს ჩემი აზრით ილუზიაა. სინამდვილეში ამით პრობლემებს ვიქმნით. რადგან, დემოკრატიულობის პრეტენზია, რომელიც საქართველოს 4-5 წლის წინ ჰქონდა, ისედაც შელახულია და კიდევ უფრო მეტ კრიტიკას მოვისმენთ. მეორე მხრივ, არ დაგავიწყდეთ, რომ

400 ათასი ადამიანიდან სულ 5 ათასს აქვს განაცხადი საქართველოში დაბრუნებაზე. რა ფაქტორები უნდა იყოს ისეთი, რომ ასე ზღუდავდეს მათ ჩამოსვლას. თუმცა, ალბათ ბევრს უკვე აღარც უნდა ჩამოსვლა, მაინც ძალიან მცირე მეჩვენება განაცხადების რიცხვი. ამას ხელს უწყობს როგორც კანონის და პროცედურების სირთულე, ისე ბევრი სხვა მომენტი. მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ თითქმის ყველა განაცხადი აზერბაიჯანიდან არის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სხვაგან ინფორმაცია არ ყოფილა სათანადოდ მიწოდებული, ან დიდი ბარიერები იყო საბუთების შემოტანისას. რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ აზერბაიჯანში მცხოვრები მესხები ასე მონდომებულები არიან, დაბრუნდნენ საქართველოში და სხვაგან მცხოვრებნი არა.

პრობლემას ქმნის ისიც, რომ თუ შევზღუდეთ და მართლაც მცირე რაოდენობა მივიღეთ, და ის ფანჯარა, რომელიც იყო გახსნილი, დაიხურა, არ ნიშნავს, რომ პრობლემა მოიხსნება. იმიტომ რომ ის 400 ათასი იქ მაინც რჩება და უკმაყოფილებაც დარჩება. და ადრე თუ გვიან ის ისევ ჩვენს საწინააღმდეგოდ მობრუნდება.

პრობლემად მიმაჩნია ისიც, რომ თითქმის არაფერს ვაკეთებთ ორი მთავარი მიმართულებით. თუ რეპატრიაცია იწყება, მას სჭირდება როგორც თავად მოსახლეობის, ისე ჩამომსვლელთა მომხადება. ამ მიმართულებით სახელმწიფო ძალიან ცოტას აკეთებს, საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ რაღაცის გაკეთებას, მაგრამ მათი შესაძლებლობებიც შეზღუდულია. ზოგიერთი მიმართულებით უკვე შეიკვეცა კიდევ დაფინანსება. ძირითადად ეს იყო ევროკომისიის დაფინანსება და აქაც სრულყოფილი დაფინანსება შეუძლებელია.

არის რამდენიმე მომენტი, რომელსაც საქართველო მწვავედ განიცდის. დაბრუნდებიან თუ არა მესხები სამცხე-ჯავახეთში. თუ არ შეუქმენი მოტივაცია, რომ სამცხე-ჯავახეთში არ დაბრუნდნენ, მაშინ სხვა მექანიზმი არა გვაქვს იმისათვის, რომ სიტუაცია გააკონტროლოთ. ხელის შეშლა შეიძლება მხოლოდ კანონის დარღვევით, რეგისტრაციაზე უარის თქმით. ან შეიძლება ხელი შევეშალოთ ქონების ჩამოტანაში. ეს ხალხი თავისი ქონებით მოდის. თუ ის ქონებაც არ ჩამოვატანინეთ, ცხადია, პრობლემა მხოლოდ გაიზრდება.

ბოლო თვეებში ხშირი კონტაქტი მქონდა სტუდენტებთან. გარდა ამისა ქალბატონმა ჯანამაც ისაუბრა ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევებზე, საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის იმ პრობლემებზე, რაც რეპატრიაციას მოჰყვება. მართალია 5 ათასი კაცის ჩამოსვლა არ არის მასობრივი, მაგრამ მაინც. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, უკავშირდება თუ არა ეს პროცესი რისკებს, რას აკეთებს ხელისუფლება მათ შესარბილებლად და ზოგადად, რა პოლიტიკაა ამ სფეროში. სამწუხაროდ, საზოგადოება ამ თემებთან დაკავშირებით ნაკლებად ინფორმირებულია.

**მარინა ელბაქიძე** – მინდა მოკლედ შევაჯამოთ ის, რაზეც იყო საუბარი და შემდეგ გავხსნათ დისკუსია. ჩვენ მოვისმინეთ მოკლე ინფორმაცია კანონის შესახებ, რეპატრიაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ, როგორ მართავს მას ხელისუფლება, რა პრობლემებია რეპატრიაციის პროცესში. თავად რეპატრიანტები სამ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ისინი, ვინც პერსპექტივაში განიხილება რეპატრიანტად, ვინც საბჭოთა პერიოდში დაბრუნდა და აქვს მოქალაქეობა და კიდევ მცირე ჯგუფი, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობა არ მიუღიათ. ბატონმა ვიამ მომავლის შესაძლო პრობლემებზეც კი ისაუბრა,

სწორედ იმიტომ რომ არც საზოგადოება, არც ხელისუფლება, არც თავად ეს ადამიანები ამ პროცესისათვის მზად არ არის.

**ჯანა სომერლუნდი** – ამ კანონზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი საქართველოს სახელმწიფოსთვის ფინანსურ ვალდებულებას არ ითვალისწინებს. რაც ჩვენი აზრით არის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა. არის კიდევ სხვა პრობლემაც, რომელიც ეხება მომავალი რეპატრიანტების ინტეგრაციას. იმიტომ რომ არც ეს საკითხია კანონმდებლობაში გათვალისწინებული.

**ირაკლი კოკაია** – რამდენიმე საკითხზე მსურს კომენტარის გაკეთება. საუბარი იყო მოთხოვნილი დოკუმენტების რაოდენობაზე. როდესაც ქვეყანა იღებს გადაწყვეტილებას, მოახდინოს რეპატრირება საბჭოთა კავშირიდან 1944 წელს გასახლებული ოჯახისა, არ უნდა იყოს გასაკვირი ამ ადამიანებისათვის დაბადების მოწმობის და პასპორტის მოთხოვნა. არც ის უნდა იყოს პრობლემა, სამი წლის განმავლობაში თავი მოუყარო ამ დოკუმენტებს, თუ ნამდვილად გინდა ქვეყანაში დაბრუნება. არანაკლები დოკუმენტების შეგროვება გვიწევს საელჩოში წარსადგენად, როდესაც საზღვარგარეთ მივდივართ.

მე ამ კანონის ავტორი არ ვახლავართ, მხოლოდ აღვასრულებ მას. რაც შეეხება ვადების საკითხს, ვინც თავის დროზე წერდა ამ კანონს, ალბათ იფიქრა, რომ განხილვის ვადები რომ ჩაეწერა, ბევრი რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი უკვე განხილვის პროცესში ამოვარდებოდა და ეს რაოდენობა იქნებოდა არა 5841, არამედ 75. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გასაუბრების მექანიზმი. იმ შემთხვევაში, თუ დავუშვათ სამინისტროს საბუთების მიხედვით გაუჭირდება ნორმალურად პირის საქმის შესწავლა, იმისთვის, რომ პირს შეცდომით უმიზეზოდ უარი არ უთხრას რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებაზე, არსებობს გასაუბრების მექანიზმიც.

რაც შეეხება თვითნებურ დაბრუნებას, სიმართლე გითხრათ, მიკვირს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მათი დაბრუნება ხორციელდება არა „რეპატრიაციის შესახებ“ კანონის, არამედ „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სადაც არის გარკვეული მოთხოვნები. გამონაკლისს იმ შემთხვევისათვის, როდესაც ადამიანმა წინა ყოფნის დროს დაარღვია კანონი, ის არ ითვალისწინებს. ამ ადამიანმა კანონი დაარღვია და მნიშვნელობა არა აქვს, ის მესხია თუ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავად კანონში უნდა შევიტანოთ ცვლილება. რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა ათეულობით ოჯახი, რომელმაც შეასრულა „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მოთხოვნები, იყიდა სახლი და ორმაგი მოქალაქეობაც მიიღო. ასეთი ოცი თუ ოცდახუთი ოჯახი ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთში.

ბარბაქადის საქმეს კარგად არ ვიცნობ და სამწუხაროდ გამიჭირდება კომენტარის გაკეთება. რაც შეეხება ტვირთის შემოწმებას, მაპატიეთ, მაგრამ ტვირთს უცხოეთიდან შემოსულ ყველა პირს უმოწმებენ. საბოლოოდ გამოატანეს ტვირთი?

**ემილ ადელხანოვი** – უნდა ითქვას, რომ ყველა ლეიბი დაუჭრეს და საბოლოოდ ტვირთი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დაუბრუნეს პატრონს. მაგრამ მისი გამოყენება უკვე



შეუძლებელი იყო, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში ისეთ ადგილას ჰქონდათ მოთავსებული, სადაც წყალი ჩამოდინდა.

**ირაკლი კოკია** – მართლა არ ვიცნობ ამ შემთხვევას. მაგრამ ასეთი შემთხვევებისთვის არსებობს სასამართლო. ამ პიროვნებას შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა და ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა.

**ემილ ადელხანოვი** – რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ადამიანებისათვის ამის გაკეთება ბევრად უფრო რთულია ვიდრე ჩვენთვის.

**მარინა ელბაქიძე** – დიდი მადლობა. ახლა უკვე დარბაზსაც მივცეთ დისკუსიაში ჩართვის საშუალება.

**ეკა ფირცხალავა, „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ მკვლევარი** – მესმის რა ნაკლოვანებებსაც შეიცავს კანონი „რეპატრიაციის შესახებ“, მაგრამ ის უფრო მაინტერესებს, რას აკეთებს ჩვენი სახელმწიფო რეპატრიანტებისთვის, რა პოლიტიკა აქვს მათ მიმართ, არის თუ არა რაიმე პროგრამა შემუშავებული მათი ადაპტაციისათვის. თავად ვმონაწილეობდი ერთ-ერთ ასეთ პროექტში. 2004 წელს ორი თვე ვცხოვრობდი ნასაკირალში მესხებთან ერთად. ეს ის ხალხია, რომელიც მეტნაკლებად ადაპტირებულია გარემოსთან, ვიდრე ვთქვამთ, იანეთში მცხოვრები მოსახლეობა. ეს ადამიანები 70-იანი წლებიდან ცხოვრობენ საქართველოში. მათთან შეხვედრის შემდეგ მიხვდებით, რომ არც ისე ადვილია ამდენი წლის მერე უკან დაბრუნება და ყველაფრის თავიდან დაწყება.

**ირაკლი კოკია** – კანონზე დავამატებ. ის როგორც წესი მუშაობს, ან არ მუშაობს. სულ 5841 ადამიანმა შემოიტანა აპლიკაცია ყველა ქვეყნიდან, სადაც მესხები არიან ჩასახლებულები. აზერბაიჯანიდან მეტი შემოვიდა, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. აზერბაიჯანში მცხოვრები მესხების უმეტესობა უზბეკეთიდან არის დევნილი. მათ აქ დაბრუნების მეტი მოტივაცია ჰქონდათ. თურქეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც გვაქვს აპლიკაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმა იმუშავა.

რაც შეეხება ინტეგრაციის პროგრამას, ამ თემაზე მუშაობს საბჭო, რომელზეც დისკუსიის დასაწყისში მოგახსენეთ. ყველა სამინისტროს სფეროს მიხედვით აქვს აღებული ვალდებულება. ეფექტობ, მალე ეს პროგრამაც იქნება.

**ჯანა სომერლუნდი** – თქვენ ნასაკირალი ახსენეთ, ხომ? ჩვენი ინფორმაციით, ინტეგრაციის პროგრამა არც მანდ ყოფილა. ეს ხალხი თვითინტეგრირებულია და სხვათა შორის, ამის საუკეთესო მაგალითია. თუმცა უკეთესი იქნებოდა, ვინმეს დახმარება გაეწია.

**ეკა ფირცხალავა, „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ მკვლევარი** – ეს კითხვა იმიტომ დავსვი, რომ კარნეგის სტიპენდიით ცოტა ხანში ამერიკაში მივდივარ იქ ჩასახლებული მესხების მდგომარეობის შესასწავლად. მინდა გამოვიკვლიო, ამერიკა რა სახის პროგრამებით უწყობს ხელს ადაპტაციაში ამ ადამიანებს.

**გიორგი კლდიაშვილი, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ დირექტორი** – ბატონ ირაკლისთან მექნება კითხვა. როგორც აღნიშნეთ, მტკიცებულების ვალდებულება იმ პიროვნებების წარმომავლობის სინამდვილის შესახებ საქართველოს მხარეს ეკისრება.

**ირაკლი კოკაია** – იმის გამო, რომ ადამიანმა ვერ მოახერხა გადასახლების დოკუმენტის წარმოდგენა, საქმეს არ ვბლოკავთ და უზუცესებს ვთხოვთ მათი გადასახლების ფაქტის დადასტურებას. მათ პასუხს დოკუმენტად მივიღებთ და ამ ხალხის საქმეს განვიხილავთ.

**გიორგი კლდიაშვილი** – გასაგებია, თუ შემოსულია განცხადება, მას ნებისმიერ შემთხვევაში განიხილავთ. მე მინდა შეგახსენოთ ერთი ფაქტი, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე. ეს არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, სადაც იყო გამოქვეყნებული გადასახლებული მესხების სია დასახლებული პუნქტების მიხედვით. ეს იყო ნაწილობრივი სია. ანუ, საქართველოს არქივებში, როგორც ჩანს, ინახება ეს ინფორმაცია და მოიპოვება სიები. აქედან გამომდინარე, ძალიან კარგი, თუ საქართველოს მთავრობა მუშაობს უზუცესებთან, მაგრამ რატომ არ აზუსტებთ ადგილობრივ დონეზე ლოკალურ თუ ცენტრალურ არქივებში? გმადლობთ.

**ირაკლი კოკაია** – არ მითქვამს, რომ ამას არ ვაკეთებთ. თუმცა, ჩვენთან სიების სულ 5% შემორჩენილი. საქმეებს შესასწავლად ვაგზავნით შინაგან საქმეთა სამინისტროში და ისინი იკვლევენ.

**გიორგი კლდიაშვილი** – ვერ დაგეთანხმებით, იმიტომ რომ დეტალური სიებია. მე თავად მინახავს.

**მერაბ ბასილაია, ფონდი „ალპე“** – მთავარი პრობლემა ის არის, რომ არ გვაქვს ინფორმაცია ამ ხალხის შესახებ. ფაქტობრივად ვერ აეწყო კვალიფიციური ხაზი, რომელიც მოგვცემდა საშუალებას, უზუსტად გვცოდნოდა რას ფიქრობს ეს ხალხი და როგორია მათი განწყობილებები და მოლოდინები. ჩვენს წარმოდგენებს მხოლოდ რამდენიმე პიროვნების მონათხრობზე, იმ მწირ კონტაქტზე ვაგებთ, რომელიც აქვთ პროექტის მონაწილეებს. ჩნდება კითხვა, რატომ არ შედის სახელმწიფო კონტაქტში. აქ აზერბაიჯანზეა ლაპარაკი, სადაც ძალიან სპეციფიური დამოკიდებულებაა შეხვედრების ორგანიზებასთან დაკავშირებით. არ არის ადვილი, წახვიდე და მოაწყო დიდი შეხვედრა თემთან. იმიტომ ბევრი კითხვა გაგვიჩნდება, მაგრამ მათზე პასუხს ვერ მივიღებთ. იმიტომ რომ თუ გულწრფელები ვიქნებით, ჩვენ, პროექტის მონაწილეებს კვალიფიციური წარმოდგენა ამ ადამიანების რეალურ განწყობილებებზე არა გვაქვს.

პროექტის ფარგლებში კვლევა საქართველოში ჩატარდა. იქ ასეთი კვლევა არ ჩატარებულა და ძნელად წარმომიდგენია, რომ ჩატარდეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბევრი გაუგებრობა სწორედ ინფორმაციის ნაკლებობის გამო ხდება.

რაც შეეხება ბარბაქადის საქმეს, საზიზღრობა მოხდა. მაგრამ ამ საქმეს პოლიტიკური და ეთნიკური საფუძველი არ ჰქონია. იმ მეტაჟემ საერთოდ არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. მისთვის ეს იყო აზერბაიჯანიდან მომავალი ადამიანი. ვიზიარებ ბატონი ემილის თვალსაზრისს, რომ შესაძლებელი იყო ცოტა უფრო ჰუმანური მოპყრობა, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით ყველაფერი გამართულია. ამ კაცს საზღვრის გადმოკვეთა ქრთამის მიუცემლად უბრალოდ ვერ წარმოედგინა. სამწუხაროდ, ეს მოხდება და ამაზე უნდა ვიფიქროთ. იმიტომ რომ როდესაც მოდიან სხვა რეალობაში მცხოვრები ადამიანები, ჩვენს საბაჟოზე რა მოხდება, არ ვიცით. უნდა ჩავატაროთ ტრენინგები. ვერავენ უბრძანებს მეტაჟეს, ქრთამის მიცემის შემთხვევაში რეაგირება არ მოახდინოს.

**მიხეილ მირზიაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციის, „კრიზისების მართვის ინიციატივა“, პროექტების მენეჯერი** – ქალბატონმა ჯანამ თქვა, რომ პროექტის ფარგლებში ისინი მესხების საქმეებთან ერთად თარაქამების, ჰემინების და ყარაფაფახების საქმეებსაც განიხილავენ. საქართველოს მიერ მიღებული კანონი ამ ხალხს არ ყოფს. თქვენ პრაქტიკაში შეხვდით დაყოფას თუ რატომ ახსენეთ ჯგუფები ცალ-ცალკე?

**ჯანა სომერლუნდი** – კანონი რომ იწერებოდა, იქ იგულისხმებოდა ყველა ჯგუფი, არა მარტო მესხები. ჩვენი პროექტის სახელწოდება ასევე არის „დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის მხარდაჭერა“. აქვე მინდა შევნიშნო, რომ პროექტში არ ვხმარობთ სიტყვას „მაჰმადიანი“. ჩვენ ვამბობთ „დეპორტირებულ მოსახლეობას“ და არ ვახდენთ მარკირებას. როგორც ბატონმა გიამ აღნიშნა, ეს არის საქართველოს მორალური იმპერატივი, რომ მოხდეს ამ ხალხის რეპატრიაცია. გმადლობთ.

**მამუკა ყუფარაძე, სტუდია „რე“** – კითხვა მაქვს ბატონ ემილთან და ბატონ გიასთან. თუ მიგაჩნიათ, რომ კანონი არ არის სრულყოფილი და მის შეცვლაზე ახლა გვიანია საუბარი, თუ სახელმწიფო კომისია ხარვეზებით მუშაობს, როგორც ირკვევა შესული 5 ათასი განაცხადიდან მხოლოდ 75 დაკმაყოფილდა, და ის უხუცესთა საბჭოც ვერ იძლევა ჯერჯერობით იმ რეზულტატს, რა ვალდებულებებიც აქვს აღებული, თუ ხელოვნურადაც ექმნება საქართველოში დაბრუნების მოსურნე ადამიანებს პრობლემები, რატომ არ გადაიჭრება საბოლოოდ ეს პრობლემა. ბატონმა გიამ თქვა, რომ ამ საკითხების მოუგვარებლობით პრობლემა არ გადაიჭრება, და მომავალში ის სხვა სახით მოუბრუნდება საქართველოს. მაინტერესებს, რა პრობლემები შეიძლება მომავალში კიდევ შეგვექმნეს.

**ემილ ადელხანოვი** – რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი კვლავაც რჩება საქართველოს ფარგლებს გარეთ. ბუნებრივია, ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს მათ, ვინც დაბრუნებას შეეცადა. ისინი ალბათ ელიან, რომ საქართველო კიდევ ერთ კანონს მიიღებს, რადგან მიაჩნიათ, რომ არ შეიძლება რეპატრიაცია მხოლოდ ამით შემოიფარგლოს. როგორია ჩვენი ხელისუფლების გეგმები, ფიქრობს თუ არა ის, რომ რეპატრიაცია ამით შემოიფარგლება? ვფიქრობ, ეს არც მათთვის არის ცნობილი.

მეორე საკითხია ის, რომ როდესაც ჩამოსულებს არ ხვდებათ შესამისი პირობები, წარმოიქმნება უთანხმოება ადგილობრივ მოსახლეობასთან. სწორედ სოციალური პრობლემები ხდება უთანხმოებების მიზეზი.

მესამე საკითხია ის, რომ შევპირდით ბევრის გაკეთებას, მაგრამ გავაკეთეთ ცოტა და ცუდად. სახელმწიფოს ვგულისხმობ.

**გია თარხან-მოურავი** – ინტერესი არ არსებობს უპირობოდ. ის დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლის მიხედვითაც ადამიანს შეუძლია ჩამოსვლა. ჩამოსვლის ინტერესი კი არ დაეკარგათ, ბევრს დაეკარგა ამ პირობებში ჩამოსვლის ინტერესი. ეს არის სწორედ იმის მიზეზი, რომ როგორც ემილმაც თქვა, ცდილობენ ამ კანონის გვერდის ავლით ჩამოსვლას. ამის შემდეგ ეს შემთხვევები კიდევ უფრო გამრავლდება, იმიტომ რომ კანონმა დახურა ფანჯარა და საბუთების მიღება შეწყდა.

მეორე მომენტია საქართველოს იმიჯი. დღეს უკვე ვახსენეთ ვალდებულება, რომელიც საქართველოს აქვს ალებული ამ ადამიანების დაბრუნების შესახებ. თუ 400 ათასი ადამიანი განაგრძობს თავის აქტიურ პროპაგანდას და კამპანიას დაბრუნებისა, საერთაშორისო ორგანიზაციები კვლავ დაინტერესდებიან ამ საკითხით.

და მესამე – არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველო ჩართულია საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში. არ არის გამორიცხული, საქმეები საერთაშორისო სასამართლოებში აღიძრას და საქართველო კვლავ წამგებიან სიტუაციაში აღმოჩნდეს. როგორც ეს ამასწინათ მოხდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ რეპრესირებულთა რეაბილიტაციის კანონი კი მივიღეთ, მაგრამ არ მიგვიღია კომპენსაციის შესახებ საკანონმდებლო აქტები. ასე რომ რაღაც რისკები იქნება. არ ვამბობ, რომ ეს აუცილებლად მოხდება, მაგრამ არის რისკი და ის შეფასებული უნდა იყოს.

**ჯანა სომერლუნდი** – ითქვა, რომ დაბრუნების მსურველთა 97% აზერბაიჯანიდან არის. მესხების უმეტესობა ცხოვრობს ყირგიზეთში, ყაზახეთში, თურქეთში. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ამ კანონის შესახებ. ძნელია იმის თქმა, ზუსტად რამდენ ადამიანს უნდა დაბრუნება. როგორც ვაკვირდებით, ტენდენცია, რომელიც გამოიხატა მესხებში, ასეთია, უფროს თაობას უფრო სურს საქართველოში ჩამოსვლა, ვიდრე ახალგაზრდობას, რომელსაც თავისი ცხოვრება ამ ქვეყნებში უკვე აწყობილი აქვს.

რაც შეეხება დამატებით სიებს, როგორც ვიცი, რუსეთიდან შემოვიდა სიები, სადაც მარტო სახელები იყო მითითებული.

**ირაკლი კოკაია** – მართალია, რუსეთიდან შემოვიდა რამდენიმე ათასი აპლიკაცია, მაგრამ ძნელია, მათ აპლიკაცია უწოდო. ეს უფრო იყო სია. მეორეჯერაც შემოიტანეს, მაგრამ იგივე და ისევ უარი ვთქვით მის მიღებაზე. თუმცა რუსეთიდან გვაქვს რამდენიმე ათეული სწორად შევსებული აპლიკაცია.

**ბესლან კმუზა, რადიო „თავისუფლება“** – რუსეთში კრასნოდარის მხარეში, ვოლგოგრადისა და როსტოვის ოლქში ამ ადამიანებთან მივიდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და გამოკითხვა ჩაატარეს, ჩაიწერეს კიდევ, ვინ იყო საქართველოში დაბრუნების მომხრე. ახლა ის ხალხი ზის და იცდის, რა პასუხს მიიღებს საქართველოს ხელისუფლებისგან. მიექცევა მათ ყურადღება?

**ირაკლი კოკაია** – 31 დეკემბერს ორგანიზაცია „ვათანის“ წარმომადგენლები მივიდნენ ჩვენს საელჩოში, მიიტანეს რამდენიმე ყუთი, დატოვეს და წავიდნენ. ამ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ შიგნით აღმოჩნდა ანკეტის ფორმა, რომელიც მთავრობის მიერ იყო დამტკიცებული და შიგ რამდენიმე ველი იყო გამოყოფილი. კითხვებზე იყო პასუხი გასაცემი. ეწერა მხოლოდ სახელი და გვარი და მეტი არაფერი.

**მამუკა ყუფარაძე** – გვჯერა, რომ ცუდად შევსებული ჩამოიტანეს, მაგრამ თავად ამ ფაქტს როგორ ახსნით, ინფორმაცია არ ჰქონდათ, რა უნდა წარმოედგინათ, თუ ისეთი გაუნათლებელი ხალხია, რომ ანკეტის წაკითხვა გაუჭირდათ?

**ირაკლი კოკია** – ეს ალბათ იყო იმ ორგანიზაციის ბრალიც, რომელიც გამოკითხვას ატარებდა და გარკვეულწილად ინფორმაციის ნაკლებობითაც აიხსნება. თუმცა ინფორმაცია რუსეთსა და აზერბაიჯანში თავად „ვათანმა“ გაავრცელა. ვერ ვიტყვი, რომ ინფორმაცია საერთოდ არ ჰქონიათ, იმიტომ რომ 2007 წელს რამდენიმე ადამიანი იყო ჩამოსული კრასნოდარის მხარიდან და მათ რუსულ ენაზე თარგმნილი კანონი ჰქონდათ თან. ფორმები ასევე იყო ნათარგმნი რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. მათ შეეძლოთ, ფორმა რა ენაზეც სურდათ, იმ ენაზე შეეცნოთ, მაგრამ შეძლევ უნდა ეთარგმნათ და დაემტკიცებინათ.

**ბესლან კმუზა** – რატომ არ გადაამოწმეთ ის სიები? ან ახლა რატომ აღარ აძლევთ ამ ადამიანებს ანკეტის ისე შევსების საშუალებას, როგორც საჭიროა.

**ირაკლი კოკია** – რა უნდა გადაემოწმებინა სახელმწიფოს, სახელი და გვარები? სახელით და გვარით ძალიან გაჭირდება ადამიანების მოძებნა. მისამართიც კი არ არის მითითებული.

**სერგეი რუმინცევი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია** – ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ შეიძლება ჩასვლა აზერბაიჯანში მყოფ მესხებთან და ინფორმაციის მოძიება? რა გიშლით ხელს? ერთია, რომ არ გაგიკეთებიათ, თორემ ამაში სირთულეს ვერ ვხედავ.

დიდი პატივისცემით ვეკიდებით საქართველოში კორუფციასთან ბრძოლას, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ რამდენიმე წლის წინ ეს თემა საქართველოსთვისაც ძალიან მტკივნეული იყო. წარმოიდგინეთ, აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთაც შეიძლება ქრთამის მიუცემლად. დღევანდელი დისკუსია ისეთ შთაბეჭდილებას მიქმნის, რომ კანონი ცუდად მუშაობს. ალბათ რაღაც არის შესაცვლელი.

**ილჰამ აბასოვი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია, სოციოლოგი** – შარშან ვალეში, რომელიც ახალციხესთან ახლოს იმყოფება, აზერბაიჯანიდან დაბრუნებულ „თურქ მესხებს“ ვესაუბრე. უფროსი თაობა პენსიას აზერბაიჯანში იღებს. მათ ჩაწერის პრობლემა აქვთ, ამიტომ პრობლემები აქვთ ბავშვების სკოლაში ტარებასთან დაკავშირებითაც. იძულებულები არიან, როგორც უცხოელებმა, თანხა გადაიხადონ ბავშვების სკოლაში ტარებისთვის. და საზღვრის გადმოკვეთასთან დაკავშირებით იგივეს ვიტყვი, აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთისას ეს პრობლემა სწორედაც რომ არ დგას.

**მერაბ ბასილაია** – როდესაც რომელიმე ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას ადამიანი ჩინონიკს ქრთამს სთავაზობს, ეს რა თქმა უნდა, არ უკავშირდება არც ეთნოსს და არც პოლიტიკას. სიტყვაში „კულტურა“ მე ის ვიგულისხმე, რომ საქართველოს საზღვარზე სიტუაცია ელვის სისწრაფით შეიცვალა. ეს ცვლილება შესაძლოა ერთნაირად ძნელად გასაგები ყოფილიყო როგორც ქართული, ისე აზერბაიჯანული მხარისთვისაც. მე არ მიგულისხმია ქართული ან აზერბაიჯანული კულტურა. ლაპარაკია საბაჟო მომსახურებაზე, რომელიც ძალიან სწრაფად შეიცვალა.

**ურა აბულაშვილი, ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტი“** – ჩვენი ორგანიზაცია ათი წელია, რაც მესხების პრობლემატიკაზე მუშაობს. რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ იმდენივე განაცხადი არ შემოვიდა რუსეთიდან ან სხვა ქვეყნებიდან, როგორც აზერბაიჯანიდან. ითქვა, რომ ამ ადამიანებს კარგი კონტაქტები აქვთ ერთმანეთთან. მაშინ რატომ უნდა წარმოედგინათ მარტო სიები? „ვათანმა“ დაინტერესებულია,



რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩამოვიდეს. როცა რეალურად ვერ მოიპოვეს საჭირო რაოდენობა, თვითონ გამოაგზავნეს სიები. სხვა ახსნა ამას არ შეიძლება ჰქონდეს. თუმცა, ეს რა თქმა უნდა, ჩემი ვარაუდია.

ხელში მიკავია თქვენს მიერ გამოცემული წიგნი, რომელიც მიმაჩნია, რომ ძალიან საჭირო და კარგი პუბლიკაციაა, მაგრამ რამდენიმე შეკითხვა მაქვს. ასეთი ფრაზა გვხვდება: „სხვა დებორტირებული მოსახლეობისგან განსხვავებით ლაზები ეთნიკურად უფრო ახლოს არიან ქართველებთან და ჩვეულებრივ მათ მიიჩნევენ ქართველი მოსახლეობის ქვეჯგუფებად“. ანუ, ავტორს მიაჩნია, რომ ისინი ქართველებთან ეთნიკურად ახლოს დგანან, მაგრამ ქართველები თვლიან, რომ ქართველური ჯგუფია. გარდა ამისა, „სხვა დებორტირებული მოსახლეობისგან“ რას ნიშნავს, მესხებიც იგულისხმება? ლაზებიც სხვა ეთნიკური ჯგუფი გამოდის და მესხებიც. არადა, ორივე რომ ქართველური ჯგუფია, ეს მე მგონი, სადაო არ უნდა იყოს.

**დავით არაბიძე, განათლების ეროვნული კავშირი** – სამართლიანობა ყველასთვის სამართლიანობა უნდა იყოს. ჩვენ ვიცით, რომ 1989 წლის 14 ნოემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1944 წელს ამ ადამიანების გასახლების ფაქტს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება მისცა. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკვე ოც წელზე მეტია, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოა, არანაირი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული 1918-19 წლებში სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მესხეთში ჩატარებულ რელიგიურ და ეთნიკურ წმენდას.

რაც შეეხება რეპარტიაციას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ადამიანები სტერილურ ტერიტორიაზე კი არა, იმ ადგილებში უნდა დაბრუნდნენ, სადაც ეს რელიგიურ-ეთნიკური წმენდა მოხდა. ძალიან მაკვირვებს სახელმწიფოს წარმომადგენლის ასეთი მშვიდი დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ, როდესაც ვხედავთ, რომ ჩვენი მეზობელი თურქეთის სახელმწიფოში მოსულია უკიდურესად აგრესიული ძალა, რომელიც აქტიურად ამკვიდრებს თავის იმპერატივებს, სტრატეგიებს. ავიღოთ თუნდაც კვიპროსის მაგალითი. ვნახეთ, რომ თურქეთმა აქტიურად გამოიყენა 17%-იანი უმცირესობა, მოახდინა ტერიტორიის 36%-ის ოკუპაცია, შეიქმნა მარიონეტული სეპარატისტული სახელმწიფო.

დარწმუნებულები ვართ, რომ ის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც არ შეუძლია ისრაელის სახელმწიფოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსებით, შეუძლია გადაწყვიტოს სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიის 20%-ც ოკუპირებულია?

**ჯანა სომერლუნდი** – როგორც თქვენ ახსენეთ, ეს 1918-19 წლებში მოხდა. დღეს 2011 წელია. დაახლოებით ერთი საუკუნეა გასული. რას გვთავაზობთ, გამოვიკვლიოთ, ვინ იყვნენ ამ რეპარტიანტების წინაპრები და მათი შთამომავლები გავასამართლოთ თუ როგორ მოვიქცეთ?

**დავით არაბიძე** – არსებობს ბევრნაირი გამოცდილება, მაგალითად ესპანეთის. მათ შეაფასეს 36-38 წლის მოვლენები. გამოიძიეს, რაც გამოსაძიებელი იყო და დაზარალებულებს კომპენსაციაც მისცეს.

**ჯანა სომერლუნდი** – ვინ უნდა გამოიძიოს და რის საფუძველზე? და მეორე საკითხი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს რეპატრაციას ხელს შეუწყობს? ჩვენი დისკუსიის მიზანია, განვიხილოთ რეპატრაცია.

**დავით არაბიძე** – მე მინდა ეს ადამიანები ისეთ გარემოში დაბრუნდნენ, რომელშიც კონფლიქტი არ შეექმნებათ. როდესაც ვიცი, რომ ჩადენილი დანაშაული გამოძიებული და შეფასებულია, როდესაც დაზარალებული მხარე მორალურადაც და მატერიალურადაც კომპენსირებულია, მას არ უნდება აგრესია. მაგრამ როდესაც იცის, რომ მის მიმართ ჩადენილი დანაშაული დაუსჯელი დარჩა, ეშინია.

**ირაკლი კოკაია** – თუ სწორად გავიგე, თქვენ ამბობთ, რომ ამ ხალხს შევუზღუდოთ თავისუფლად გადაადგილების და საცხოვრებლის არჩევის უფლება?

**დავით არაბიძე** – ეს ხალხი მაშინ დავაბრუნოთ, როდესაც შევქმნით სათანადო გარემოს და დავაბრუნოთ ისინი, ვინც უნდა დაბრუნდნენ. და არა ისე, რომ ეს ადამიანები ჩამოვიყვანოთ და ახალი კონფლიქტის ზონა შევქმნათ, რომელსაც ჩვენი მეზობელი აგრესიული სახელმწიფო აუცილებლად გამოიყენებს. გაიხსენეთ 1921 წელი.

**მაია ჩხენკელი, ფონდი „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“** – ჩვენი ფონდი ამ ორგანიზაციის პარტნიორია და უშუალოდ ახორციელებს პროგრამას. მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი პროგრამის თაობაზე, რომელიც მოიცავს როგორც ინტეგრაციის კომპონენტს, საქართველოში უკვე მცხოვრები რეპორტირებული მოსახლეობის მხარდასაჭერად, ისე აზერბაიჯანში ინფორმაციულ და იურიდიულ უზრუნველყოფას მათ უფლებებზე რეპატრაციის პროცესში, საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ აზერბაიჯანში ჩვენი ოფისის მეშვეობით რეპატრაციის პროცესთან დაკავშირებით საკმაოდ ფართომასშტაბიანი ინფორმაციული კამპანია ხორციელდება. მოვიცავთ გადასახლებული მოსახლეობის თითქმის ყველა თემს. პარალელურად ასევე მიმდინარეობს იურიდიული კონსულტაციები უშუალოდ პროცესთან დაკავშირებით. მათ მიეწოდებათ ინფორმაცია რეპატრაციის პროცესის თანმდევი უფლებებისა და საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.

რაც შეეხება უშუალოდ ინტეგრაციას, საქართველოში ხორციელდება მთელი რიგი აქტივობები მცირე ბიზნესის, თემის განვითარებისა და პროფესიული განათლების მიმართულებით. ჩვენი პროექტის ფარგლებში თუკი იმ 75 რეპატრიანტიდან რომელიმე გამოთქვამს სურვილს და მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ განდეს საქართველოს მოქალაქე, ამავე პროგრამის ფარგლებში მათაც დავეხმარებით ინტეგრირებაში. ხოლო რაც შეეხება მათი არჩევანის უფლებას, პროგრამის ფარგლებში გვაქვს ასევე ერთი ძალიან საინტერესო კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს ამ მოსახლეობის საქართველოში ჩამოყვანას იმ მიზნით, რომ მათ რეალურად ნახონ, რისი შესაძლებლობა ექნებათ საქართველოში. ჩვენ წინა თვეში განვახორციელეთ ერთ-ერთი ასეთი ვიზიტი, რომელიც შეთანხმებული და კოორდინირებული იყო საქართველოს ხელისუფლებასთან, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან. აზერბაიჯანიდან 75 რეპატრიანტიდან ჩამოვიყვანეთ ათკაციანი ჯგუფი და ვაჩვენეთ ის ადგილები, სადაც მათი თანამოქალაქეები ცხოვრობენ ამჟამად, მათ შორის

დასავლეთ საქართველოში და ახალციხეში, რომელიც განსაკუთრებულად არის მათი ინტერესის საგანი. ძალიან ემოციური ვიზიტი იყო, თუმცა იყო გარკვეული სახის ინციდენტებიც. მათ ნახეს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან როგორც დადებითი ისე უარყოფითი დამოკიდებულება. ამ ვიზიტების მეშვეობით მე მგონი მათ ეძლევათ ძალიან კარგი საშუალება მიიღონ გადაწყვეტილება, ამ პირობებში, რომელსაც ახლა, ამ ეტაპზე ყველა ერთად ვთავაზობთ მათ, ენდომებათ თუ არა აქ ჩამოსვლა და ცხოვრება.

**ბესლან კმუზა** – მაინტერესებს, რამდენ ადამიანს მიენიჭა ორმაგი მოქალაქეობა. და მეორე შეკითხვა, რა მექანიზმებით შეიქმნა უხუცესთა საბჭო, რა კანონმდებლობის საფუძველზე?

**ირაკლი კოკაია** – ზუსტი ციფრის დასახელება გამიჭირდება, რამოდენიმე ათეულია. ამ ადამიანებმა ორმაგი მოქალაქეობა მიიღეს „საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად და არა გამარტივებული წესით. ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეები, „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. პატარა კომენტარს გავაკეთებ, აქ გაისმა ფრაზა ფანჯრების დახურვის შესახებ. ფანჯრები კი არ იხურება, „რეპატრიაციის შესახებ“ კანონით არ შეუძლიათ ჩამოსვლა. „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით შეუძლიათ ჩამოსვლა, ისევე როგორც უკვე ჩამოვიდა რამდენიმე ათეული მესხი ოჯახი. ეს იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოახერხეს საბუთების შემოტანა.

უხუცესთა საბჭო ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა და დამტკიცდა მათი მუშაობის წესი. დადასტურება აუცილებელი არ არის სამივე უხუცესის მიერ. თუ ერთ-ერთი მაინც დაადასტურებს, რომ ესა თუ ის პიროვნება მართლაც არის გადასახლებულის შთამომავალი, დაიწერება სპეციალური ოქმი, ამისი ფორმატიც დამტკიცებულია, შემიძლია მოგაწოდოთ. ეს უკვე საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ამ პიროვნებისთვის სტატუსის მინიჭების საკითხი განიხილოს სამინისტრომ.

**მარინა ელბაქიძე** – როგორც ვხვდებით, ეს ქალაქი რა ფორმისაც არ უნდა იყოს, მის წარმომდგენს უფლებას აძლევს, მოიტანოს როგორც დოკუმენტი.

**მამუკა ყუფარაძე** – თუ შეიძლება დაგვიზუსტეთ, უხუცესთა საბჭოს წევრი სამი პიროვნება საქართველოს მოქალაქეა?

**ირაკლი კოკაია** – ორი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ერთი კი აზერბაიჯანის. ის „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მიხედვით ჩამოვიდა საქართველოში და უკვე საქართველოში მყოფმა შემოიტანა რეპატრიაციის თხოვნით აპლიკაცია. მისი საქმე ჯერ არ არის განხილული.

**მამუკა ყუფარაძე** – როგორ ფიქრობთ ამ ორიათასამდე კაცის იდენტიფიკაციას დაახლოებით რამდენ ხანს მოანდომებს უხუცესთა საბჭო?

**ირაკლი კოკაია** – უხუცესთა საბჭო ზაფხულის მიწურულს შეიქმნა. პირველი შეხვედრა დაახლოებით ერთი თვის წინ გაიმართა. სწორედ მაშინ გადავეცი მათ სიები. ნოემბრის

ბოლოსთვის ალბათ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და ვიზუც ექნებათ პასუხი, მათი საქმის განხილვას შევუდგებით.

**მარინა ელბაქიძე** – რადგან დარბაზში კომენტარის გაკეთების ან კითხვების დასმის მსურველს ვეღარ ვხედავ, მომხსენებლებს ვთხოვ შეაჯამონ დისკუსია.

**ჯანა სომერლუნდი** – ყველას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მობრძანებისთვის. ჩვენი ცენტრი ყველა დაინტერესებულ პიროვნებას სიამოვნებით მიაწვდის დამატებით ინფორმაციას ამ საკითხებთან დაკავშირებით. გმადლობთ.

**ემილ ადელხანოვი** – როდესაც ქრთამზე მოვისმინე, რომ ეს დანაშაულია და ა.შ. იცით რას ამბობს წესიერი ადამიანი, როდესაც ქრთამს სთავაზობენ? – ეს დანაშაულია, ახლავე შეინახე ფული. მეტი არაფერი.

**გია თარხან-მოურავი** – კანონი ორი წლის განმავლობაში არა მგონია შეიცვალოს. ამიტომ მეტი ფიქრია საჭირო იმაზე, როგორ განხორციელდეს ინტეგრაცია. ამისთვის საჭიროა გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა და თანამშრომლობა როგორც ხელისუფლების, ისე არასამთავრობო სექტორის წრამომადგენელთა მხრიდან.

დაისვა შეკითხვა ახალი რისკების შესახებ. უკმაყოფილო ადამიანები მართლაც ადვილად სამანიპულაცია და შეიძლება ბევრმა სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალამ მოახდინოს მანიპულაცია და ამ საკითხმა კიდევ წამოიწიოს წინ. ეს მართო თურქეთს არ ეხება. ამდენი წელი ტყუილად არ ყოფილა „კათანი“ რუსეთში. მისი ბინის გადასახადს რუსეთის მთავრობა და თურქეთის საელჩო იხდიდნენ. არის სხვა მეთოდებიც. მაგალითად, თურქეთში ძალიან მაღალი სტიპენდიები გაიცემა. არის სხვა მეთოდებიც, რომელთა მეშვეობით შეიძლება წარმოიშვას ახალი საკითხები, თუ ეს საჭირო გახდება. მაგრამ დღესაც გამოჩნდა, რომ ჩვენი დაწესებულებები არ მოქმედებენ პროაქტიურად და არ ცდილობენ იმ ადამიანების ინტერესების გათვალისწინებას. უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ დავეხმაროთ და არა მართო იმაზე, რომ ფორმალურად დავიცვათ ესა თუ ის კანონი, მით უმეტეს, არასრულყოფილი. გმადლობთ.

**მარინა ელბაქიძე** – დიდი მადლობა მომხსენებლებს და დარბაზსაც აქტიურობისათვის. ორსაათიანი დისკუსიის შემდეგ ალბათ არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ ამ სფეროში ჯერ-ჯერობით არის პრობლემები. ზოგი მეტ პრობლემას ხედავს, ზოგი ნაკლებს. როგორც ჩანს, მომავალშიც შეიძლება გაჩნდეს სირთულეები. ეს საზოგადოებასაც ეხება, ხელისუფლებასაც, არასამთავრობო ორგანიზაციებსაც და ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჩემი აზრით დღევანდელ შეხვედრაში იყო, ის არის, რომ გარდა იმისა, რომ ნაცნობი პოზიციები მოვისმინეთ, ახალი ინფორმაციაც მივიღეთ. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იმის მტკიცება, რომ არსებობს ზუსტი სიები, თუმცა ეს სიები არა აქვს სამინისტროს. იქნებ მომავალში ინფორმაციის ეს ორი განსხვავებული წყარო შეჯერდეს და გადამოწმდეს ინფორმაცია.

დიდი მადლობა ყველას მობრძანებისათვის. დავასრულოთ დისკუსია.